პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 ივლისი, შაბათი, 1988 წ.
№ 141 (9808) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

## ოქროს მედლებისათვის იბრძოლებენ

**ძერჟინსკში** ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც ნახევარფინალში მოლდავეთის გუნდს სძლია — 4:1 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ნასუაშვილმა, გვასალიამ, ნინუამ და ტუღუშმა. მეორე ნახევარფინალში რსფსრ-ის ნაკრებმა სომხეთის გუნდს სძლია — 1:0.

გამოხმაურება წერილზე „ჩაებით საჯარო განხილვაში“

## იდეა კარგია, ნუ დავაყოვნებთ!

„**ლელოს**“ 20 ივლისის ნომერში დასმული საკითხი რაიონებსა და ქალაქებში სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ადგილობრივი რგოლების ერთ ორგანიზაციად გაერთიანების შესახებ, უდავოდ საყურადღებოა. ჩემი აზრით, ფიზკულტურის კომიტეტის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, განათლების სპორტსკოლის დოსააფის ერთ მსხვილ რგოლად გაერთიანება დიდ სარგებლობას მოგვიტანს და ბოლოს მოუღებს უწყებრივ ბარიერებს. ადგილებზე უკეთ იციან ზემოხსენებული ორგანიზაციების მუშაკთაგან ვინ უფრო უნარიანი ხელმძღვანელია, დაე, თავად აირჩიონ გაერთიანების თავკაცი.

რუსთავში ვცხოვრობ და ვიცი, ჩვენთან რა შესაძლებლობებია. ჩვენს ქალაქში ალბათ დღესვე შეიძლება გაერთიანებული სპორტული ორგანიზაციის შექმნა.

**რობერტ სამყურაშვილი.**
რუსთავი.

სახალხო განათლების სისტემის სპორტსკოლების ახალგაზრდელთა საკავშირო შეჯიბრება

## უკვალოდ არ ჩაუვლია

**როგორც** ვიუწყებოდით, ფრუნზეში ჩატარდა სახალხო განათლების სისტემის სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს საქართველოს წარგზავნილებმა — 158 ქულით გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს და უახლოეს კონკურენტს, სომხეთის ნაკრებს 48 ქულით გაუსწრეს. მესამე ადგილზე გავიდნენ უკრაინელი ათლეტები — 104 ქულა.

რესპუბლიკის მოჭიდავეთა ეს გამარჯვება მრავალმხრივ არის ნიშანდობლივი. ჯერ ერთი, გუნდს აკლდა სამი ძირითადი მოჭიდავე (გორელი ზოზიროვი, თბილისელი ხაბელაშვილი და ლოლუა), რომლებიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ცხადია, მათი ყოფნა კიდევ უფრო გაზრდიდა გუნდის შესაძლებლობებს და წარმატებაც უფრო საგულისხმო იქნებოდა, თუმცა ამ მაჩვენებლითაც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები სხვა პრეტენდენტებთან შედარებით საგრძნობლად დაწინაურებული აღმოჩნდა.

ფაქტი ერთია, მწვრთნელთა ბრიგადამ უფროსი მწვრთნელის თამაზ გოგოლაძის მეთაურობით (მას ეხმარებოდნენ ოჩამჩირელი ოთარ ჯობავა, რუსთაველი იოსებ მინდიაშვილი და გუნდის უფროსი ჯემალ ლორია) დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია ნორჩ მოჭიდავეთა მოსამზადებლად და ამ მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მეტსაც გეტყვით, წვრთნის პროცესში ამ ასაკის (1972-1973 წწ. დაბადებულნი) უძლიერესი მოჭიდავეები იყვნენ მოწვეული მთელი საქართველოდან და ნაკრებშიც ადგილები. რჩეულთა შორის რჩეულებმა დაისაკუთრეს.

დააკვირდით გუნდის წევრთა სადაურობას — ნაკრებში წარმოდგენილი გახლდათ რესპუბლიკის ცხრა ქალაქი და საპრიზო ადგილებიც სწორედ მათ შორის განაწილდა. განა მისასალმებელი არ არის, რომ სამტრედიას, მაგალითად, ორი გამარჯვებული ჰყავს, ხაშურელმა ათლეტებმა კი ერთი პირველი და ერთი მესამე ადგილი დაისაკუთრეს. ჩემპიონობა მოიპოვეს, აგრეთვე, ქობულეთის, ცხინვალის, თბილისისა და წითელი წყაროს წარმომადგენლებმა.

შვიდი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი (თერთმეტ წონაში). ეს რესპუბლიკის გუნდის აშკარა უპირატესობას ნიშნავს ამ შეჯიბრებაში, რომელიც, რა დასამალია და, ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკრაინის გუნდს, რომელსაც შეჯიბრების დაწყებამდე ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ, სამი ჩემპიონი და ორი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდა.



საქართველოს მოჭიდავეთა გუნდი — სპორტსკოლების საკავშირო შეჯიბრების ჩემპიონი, პირველ რიგში (მარცხნიდან): ლაშა კაპანაძე, ანატოლი კაბისოვი, დავით ვაშაკიძე, მალხაზ მხეიძე, ზვიად აბუსერიძე, მურთაზ გობეჩია. დგანან (მარცხნიდან) — გუნდის უფროსი ჯემალ ლორია, სოსო უზუნაშვილი, დიმიტრი აბრამაშვილი, დათო ბარბაქაძე, თამაზ კენჭოშვილი, მწვრთნელი — ოთარ ჯობავა, იგორ ბერაია. მწვრთნელები თამაზ გოგოლაძე და იოსებ მინდიაშვილი.

ახლა რამდენიმე სიტყვა ყველა მონაწილეზე.

**40 კგ.** მალხაზ მხეიძე, სამტრედია (მწვრთნელი ა. ნიკურაძე). ჩაატარა ოთხი შეხვედრა, ყველა მოიგო, ფინალში ქულებით დაამარცხა უზბეკეთის წარმომადგენელი ზუბაროვი. დაიკავა პირველი ადგილი.

**43 კგ.** ზვიად აბუსერიძე, ქობულეთი (მწვრთნელები რ. ოქროპირიძე, თ. ბენდიანიშვილი). ჩაატარა ხუთი შეხვედრა, ყველა მოიგო. ფინალში ქულებით დაამარცხა სიმონიანი (ერევანი). I ადგილი.

**47 კგ.** ანატოლი კაბისოვი, ცხინვალი (მწვრთნელი ვ. ქუმსიევი.) მოიგო ყველა შეხვედრა. ფინალში აშკარა უპირატესობით სძლია უკრაინელ ველიკოტნის. I ადგილი.

**51 კგ.** დავით ვაშაკიძე, სამტრედია (მწვრთნელი ა. ნიკურაძე). მოიგო ოთხი შეხვედრა. ფინალში წმინდად აჯობა ყირგიზეთის გუნდის წევრს ოკომბაევს. I ადგილი.

**55 კგ.** მურთაზ გობეჩია, ოჩამჩირე (მწვრთნელი ო. ჯობავა). V ადგილი.

**60 კგ.** ლაშა კაპანაძე, თბილისი (მწვრთნელი პ. მამულაშვილი). მოიგო ხუთი შეხვედრა. ფინალში დაამარცხა უკრაინელი სპასიჩენკო. I ადგილი.

**65 კგ.** სოსო უზუნაშვილი, წითელი წყარო (მწვრთნელი ვ. ანდრიაშვილი). მოიგო ხუთი შეხვედრა. ფინალში წმინდად აჯობა კაბილბეკოვს (ყირგიზეთი). I ადგილი.

**70 კგ.** იგორ ბერაია, სოხუმი (მწვრთნელი ვ. მარშანია) მოიგო ოთხი შეხვედრა, ფინალში დამარცხდა უკრაინელ ბარაბაშთან. II ადგილი.

**76 კგ.** თამაზ კენჭოშვილი, რუსთავი (მწვრთნელი ი. მინდიაშვილი). III ადგილი.

**83 კგ.** დიმიტრი აბრამაშვილი, ხაშური (მწვრთნელები ვ. კვინიკაძე, თ. ბენდიანიშვილი). ხუთივე შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო. I ადგილი.

**მძიმე წონა.** დავით ბარბაქაძე, ხაშური (მწვრთნელი ვ. კვინიკაძე). III ადგილი.

### ტელეტაიპი - ქრონიკა

⊙ **ნიუ-იორკი.** ძლიერმა თავსხმამ რამდენჯერმე შეაწყვეტინა ჭოკით მხტომელებს ინდიანაპოლისში გამართული ოლიმპიური შესარჩევი ასპარეზობა. ეს „მარათონული“ ასპარეზობა კი 26 წლის კერი ტერპენინგის გამარჯვებით დამთავრდა. მან 589 სმ დასძლია და 4 სმ-ით გააუმჯობესა თავისი რეკორდი. ტერპენინგის შედეგი წლევანდელ სეზონში მსოფლიოში მესამეა (მსოფლიო რეკორდსმენ სერგეი ბუბკას — 606 სმ და პოლონელ მარეკ ხმარას — 590 შემდეგ). ოლიმპიურ სეულში გაემგზავრებიან აგრეთვე 33 წლის ვეტერანი ერლ ბელი (579) და 30 წლის ბილ ოლსონი (569).

ათჭიდელთა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა გერი კინდერმა 8293 ქულა.

სათუოა, რომ ამერიკელმა ბადროს მტყორცნელმა ქალებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ ოლიმპიადის ფავორიტებს: ინდიანაპოლისში გამარჯვებულმა კონი არისმა მხოლოდ 61,28 მ აჩვენა.

⊙ **პარიზი.** იტალიელმა ველოსიპედისტმა მარია კანინსმა გზა გადაუღობა მთავარი კონკურენტის — მსოფლიო ჩემპიონ ჟანი ლონგოს (საფრანგეთი) გამარჯვებათა სერიას „ტურ დე ფრანსის“ ქალთა რბოლაში. მან მე-10 ეტაპზე საუკეთესო დრო აჩვენა და 15 წამით დაჯაბნა სახელოვანი მეტოქე. გამარჯვებულის დროა 1:55,07. საბჭოთა მრბოლთაგან თამარა პოლიაკოვა ფინიშთან მე-17 იყო და 3.11-ით ჩამორჩა კანინსს.

მიუხედავად ამისა, რბოლას დამაჯერებლად ლიდერობს ლონგო, რომელიც ტურის 1985, 1986 წლის გამარჯვებულ კონისს წუთითა და 20 წამით უგებს. კუიბიშეველი ნადეჟდა კიბარდინა მეცხრეა და ლიდერს 19 წუთით და 54 წამით ჩამორჩება.

ქალთა რბოლა 24 ივლისს დამთავრდება ელისეს მინდვრებზე.

⊙ **ნიუ-იორკი.** ცნობილმა წყალში მხტომელმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 28 წლის გრეგ ლუგანისმა ორმოცდამეხუთედ მოიპოვა აშშ-ის ჩემპიონის ტიტული. იგი უძლიერესი იყო მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ 1992 წლიდან შევა.

ლუგანისი, რომელსაც ყველა სახეობაში აშკარა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, საკვალიფიკაციო ასპარეზობის დროს გამოეთიშა კოშკიდან ხტომაში პრიზიორობის პრეტენდენტებს და საბოლოოდ V ადგილზე გავიდა. ამ წარუმატებელ სტარტს კოშკზე ლუგანისი სამი თვის წინათ მიღებული ტრავმით ხსნის.

## სსრ კავშირ—კანადის ახალი შეთანხმება

**სსრ კავშირ — კანადას შორის 1984 წლიდან მოყოლებული ღრმავდება თანამშრომლობა სპორტის სფეროში. ამ დღეებში მოსკოვში, საკავშირო სპორტსახკომში ხელი მოაწერეს ამ ორ ქვეყანას შორის ახალ შეთანხმებას — დაუსწრებელ მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში სსრ კავშირისა და კანადის ქალაქების მონაწილეობის შესახებ. ქალაქები ასე დაწყვილდნენ: ნაბერეჟნიე ჩელნი; ოდესა — ვანკუვერი; გროდნო — კალგარი; რუსთავი — სენტ-ჯონსი (ნიუ-ფაუნდლენდის პროვინცია); ტარტუ-სენტ-ჯონსი (ბრონსვიგის პროვინცია), რიგა — მონრეალი.**

## გუნდი ვ. ელოშვილმა ჩაიბარა

თბილისის „ლოკომოტივი“-ს ოლიმპიური მომზადების ცენტრის ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად, რომელიც სსრ კავშირის პირველობაზე II ლიგაში გამოდის, დაინიშნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი.







გამარჯვების კულტურისა და დასვენების პარკში ბოლო ხანებში „ფიზკულტურის დეფიციტი“ არ იგრძნობა, მაგრამ მაინც სრულად არაა გამოყენებული მასობრივი დასვენების ამ კერის შესაძლებლობები. განსაკუთრებით „დაჩაგრულად“ გრძნობენ თავს პატარები. სხვები სპორტულ მოედნებზე თამაშობენ ან ჭადრაკის დაფებს მიუსხდებიან, ნორჩები კი მხოლოდ საქანელებით და ავტომატური სათამაშოებით ირთობენ თავს, არადა, მათთვისაც რა მნიშვნელოვანია სუფთა ჰაერზე თამაში, თუნდაც ველოსიპედით გასეირნება. ამაზეც გვმართებს დაფიქრება.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი.

# პრობლემებთან პირისპირ

## ალმასკომის სესიაზე

**ზუგდიდს** მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვს, რომელიც დღესაც გრძელდება. აქაური სპორტსმენები წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ თუ საკავშირო ასპარეზობებზე, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში 20000-მდე კაცია ჩაბმული, სპორტის სხვადასხვა სექციაში გაერთიანებულია 8000-ზე მეტი კაცი, უკანასკნელ წლებში ყურადღება გამახვილდა ბაზების მშენებლობაზე. ბევრი უკვე ექსპლოატაციაში შევიდა, ბევრიც შენდება.

მიუხედავად იმისა, რომ გაკეთებული ბევრია, კვლავაც მრავალი პრობლემა დარჩა გადასაწყვეტი, რასაც მიეძღვნა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალური სესია, რომელზეც ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობასთან ერთად კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების პრობლემებიც განიხილეს. სესიის წინ გაზეთ „მებრძოლის“ ფურცლებზე მოეწყო სოციოლოგიური გამოკითხვა. დაიბეჭდა განსახილველი საკითხების თეზისები. დეპუტატებმა დაათვალიერეს სპორტული ობიექტები, ხოლო სესიის დასასრულს ნახეს მხატვრული ფილმი „სპორტი მშვიდობის საწინდარია“.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ალვერ იზორიამ და სიტყვებით გამოსულებმა გულახდილად ილაპარაკეს არსებულ პრობლემებზე. აღინიშნა, რომ არის წარმატებები, მაგრამ მეტია ნაკლოვანებანი, გადაუჭრელი საკითხები. განა სამარცხვინო არ არის ის ფაქტი, რომ განათლების განყოფილების სპორტულ სკოლას საკუთარი ბაზა არ გააჩნია, მაშინ როცა ამ სკოლაში არაერთი სახელოვანი სპორტსმენი აღზრდილა, მოუწყობელია ცენტრალური სტადიონი, ქალაქში არ არის მოწესრიგებული არც ერთი საცურაო აუზი, № 62 პროფტექნიკური სასწავლებლის აუზს, რომელიც 10 წლის წინ გაიხსნა, საერთოდ არ შეუსრულებია თავისი ფუნქცია. ნელი ტემპით მიმდინარეობს საცხოვრებელ სახლებთან მარტივი ტიპის მოედნების მშენებლობა, თითო-ოროლა რაც გაკეთებულია, საქმეს ვერ შველის, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ კომუნალურ განყოფილებაში დაბალ დონეზე დგას ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა.

აღინიშნა აგრეთვე, რომ კულტურულ-სპორტული კომპლექსის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობა კვლავ გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება თავისუფალი დროის ორგანიზაციის საკითხი, გამოსასვლელ დღეებში სათანადოდ დატვირთული არ არის, სპორტული ბაზები, ფიზკულტურული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ აწყობენ მასობრივ ღონისძიებებს, თავი ვერ მოაბეს ფასიანი ჯგუფების გახსნას.

დიდი ყურადღება დაეთმო სპორტული ბაზების მშენებლობას. ამ მხრივ დადებითად შეფასდა საქალაქოლდმრეწვის № 12 სამშენებლო ტრესტის, № 3 სამშენებლო სამმართველოს მუშაობა, სადაც კარგი კომპლექსი მოეწყო, მაგრამ ეს არ ითქმის ჩაის კომბინატის, საკონსერვო ქარხნის, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, ვაჭრობის სამმართველოს, გაზის ტრესტის, ავტოგასამართი სადგურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელებზე, რომლებსაც არაფერი გაუკეთებიათ ამ მხრივ. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ფაიფურის ქარხანაში შექმნილი მდგომარეობა. აქ ორი წელია დაწყებულია ფრენბურთის მოედნის მშენებლობა და დღესაც დამთავრებული არ არის, სამი თვეა სპორტმეთოდისტის შტატი ვაკანტურია. ადვილი წარმოსადგენია თუ რა მდგომარეობა იქნება ასეთი პრესტიჟული საწარმოს მრავალრიცხოვან მუშათა კოლექტივში.

სესიის მონაწილეებმა გულისტკივილი გამოთქვეს სპეციალისტთა დამაგრების საკითხზე. ბევრი ფიზკულტურელი სხვა სფეროში მუშაობს, მაშინ, როცა არც ერთ მეთოდისტს არ აქვს სათანადო განათლება. იყო შემთხვევა — ზუგდიდელი ახალგაზრდა, რომელმაც დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, სხვა ქალაქში მოხვდა განაწილებით. ამიტომ დააყენეს საკითხი ინსტიტუტის რექტორატის წინაშე—გაითვალისწინოს ზუგდიდში შექმნილი მდგომარეობა და მოავლინოს ახალკურსდამთავრებულები. მათ აქ ყოველმხრივი ხელშეწყობა აღუთქვეს.

დეპუტატებმა შეიმუშავეს 1988-1990 წლების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა.

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს“ საკ. კორ.




„ლელომ“ უკვე გაცნობათ, რომ მოსკოვის ოლქის კომპლექს „მაიაკის“ სარბიელზე გამართულ ინვალიდ სპორტსმენთა I საკავშირო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის ყრუთა საზოგადოების თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდმა საპატიო მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

ჩვენი გუნდის 5 მოჭიდავე შეიყვანეს სსრ კავშირის ნაკრებში, რომელიც გაისად ახალ ზელანდიაში ინვალიდთა მსოფლიო სპორტულ თამაშებში გამოვა.

სურათზე თქვენ ხედავთ ასპარეზობის პრიზიორს — საქართველოს ნაკრებ გუნდს.

„ლელოს“ რედაქციას!

# ჰაერში გამოკიდებული ანარიცხები

გწერთ იმის შესახებ თუ რატომ არის თბილისში მარტივი ტიპის მოედნების უკმარობა, ან რაც გვაქვს, ის ბაზები რატომაა ცუდი და გამოუსადეგარი.

ჯერ მარტო თბილისის ახალ საცხოვრებელ რაიონებში (გლდანში, მუხიანში, ვარკეთილის ზედა პლატოზე, ვაზისუბანში და „ვარკეთილი-3“ დასახლებაში) დაგეგმარებით გათვალისწინებული, მაგრამ განუხორციელებელი ან მოუვლელი მარტივი ტიპის სპორტული მოედნების რაოდენობამ 42-ს მიაღწია და ეს ციფრი ყოველ წელს, ყოველი ახალი საცხოვრებელი რაიონის განაშენიანების დროს გაიზრდება, სანამ მარტივი ტიპის მოედნების მომწყობი ქალაქის სპორტკომიტეტი არ გახდება, რასაკვირველია, ობიექტების მშენებლობისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი კაპიტალური დაბანდებაც.

რაც შეეხება უკვე არსებული მოედნების მოვლა-პატრონობას, ამის შესახებ არაერთხელ გამოთქმულა კრიტიკული შენიშვნები. მიზეზი ის არის, რომ აღნიშნული ობიექტების მოვლა აბარიათ შესაბამისი რაიონების საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებს, რომლებიც დღესდღეობით მრავალი პრობლემის წინაშე დგანან და ძალაუნებურად მოედნების პატრონობა მეორე კი არა, მესამეხარისხოვან საკითხად იქცევა. არადა, საბინაო ქირის ანარიცხებიდან 3 პროცენტი სწორედ ამ მიმართულებით უნდა იხარჯებოდეს.

გაზეთ „კომუნისტის“ ამა წლის 4 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსთან თეიმურაზ მეგრელაძესთან, რომელმაც აღნიშნა: „მთლიანად ვერ ვითვისებთ აგრეთვე სპორტული ბაზების მოწყობა-შეკეთების სამპროცენტიანი ანარიცხებიდან გამოყოფილ თანხებს, ...წელს მარტივი ტიპის მოედნების მოსაწყობად 257 ათასი მანეთია გამოყოფილი, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს თანხა მთლიანად ამ საქმეს მოხმარდეს“, ეს საუბარი ნათლად გვიხატავს თბილისში მარტივი ტიპის მოედნების მდგომარეობის სურათს. ე. ი. ფაქტიურად მათ მოსაწყობად მოსახლეობა იხდის თანხებს (ბინის ქირის სახით), მაგრამ ამ თანხას ვერ ვითვისებთ. მიზეზი ის არის, რომ მოედნების მოწყობა ეკისრება ისედაც მრავალი და მნიშვნელოვანი სამუშაოს შემსრულებელ ორგანიზაციას.

დავინტერესდით, როგორ იხარჯებოდა ზემოაღნიშნული თანხები მოსკოვში, გამოირკვა, რომ ბინის ქირის ანარიცხების თანხიდან 3 პროცენტის მარეგულირებელი ქალაქის სპორტკომიტეტია. რაში გამოიხატება ეს: მოსკოვის სპორტკომიტეტთან შექმნილია სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, რომელიც ღია მოედნებს აწყობს, ხოლო მოედნების ტიპობრიობის შემრჩევი, მეთოდურად დამხვეწი სპორტკომიტეტია. ახალგანაშენიანებულ საცხოვრებელ რაიონებშიც მოედნებს აწყობს იგივე სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, რომელსაც სპორტულ ნაგებობათა მოვლასთან ერთად ეს საქმეც ევალება.

საქმისათვის ასეთი მიდგომა იძლევა გარანტიას, რომ ახალ რაიონებშიც მოეწყობა მოედნები, ძველ ბაზებსაც ოპერატიულად მოევლება და არ იქნება მოედნების ზომების დამახინჯების, კალათბურთის ფარების სიმაღლეთა შეცვლის, კარების ზომის დარღვევის, ტრენაჟორების არამეთოდურად დამონტაჟებისა და სხვა მსგავსი შემთხვევები.

ჩვენი წინადადებაა ქალაქის სპორტკომიტეტთან შეიქმნას სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, რომლის მოვალეობა იქნება: ახალ საცხოვრებელ რაიონებში მოედნების მოწყობა (დამკვეთი—კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო); ძველი მოედნების შეკეთება (დამკვეთი — შესაბამისი რაიონის ალმასკომი, თანხა — ბინის ქირის ანარიცხებიდან, 3 პროცენტი); ქალაქში არსებული სპორტული ნაგებობების მოვლა-შეკეთება.

**ქ. ლოლუა,**
თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

საქართველოს ჩემპიონატი და IV ახალგაზრდული თამაშები ⊙ ცურვა

# არც მასპინძლობა, არც შედეგები...

**წინათ** ბათუმში ხშირად იმართებოდა მოცურავეთა რასპუბლიკური შეჯიბრებები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ქალაქის 50-მეტრიან საცურაო აუზში რეკონსტრუქცია დაიწყო და უსაშველოდ გაგრძელდა, აქ, ბუნებრივია, ასპარეზობები ვერ ჩატარდებოდა და არც ჩატარებულა.

აჭარის დედაქალაქის აუზი სამი წლის წინათ, როგორც იქნა, კვლავ ამუშავდა. ბათუმელებმა მოცურავეთა წლევანდელი ჩემპიონატის მასპინძლობა შარშან მოითხოვეს, გარანტიას იძლეოდნენ, რომ ასპარეზობა სანაქებოდ ჩატარდებოდა, მაგრამ...

სამწუხაროდ, **დილით ჩასული მოცურავეები, მწვრთნელები და მსაჯები საღამომდე ვერ დააბინავეს და ქუჩაში დატოვეს.** მერე, როგორც იქნა, მათ ბინა მიუჩინეს, მაგრამ ქალაქგარეთ — აეროპორტის სასტუმროში. თუმცა, ყველას დაბინავება მაინც ვერ მოახერხეს. მაგალითად, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ამ შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე, მხცოვანი ადამიანი ლუკა იოაკიმიდი, რომელიც, სხვათა შორის, ბათუმში გაზრდილი კაცია... ქუჩაში დატოვეს. ბუნებრივია, ამ შუაგულ საზაფხულო სეზონში იოაკიმიდი ვერც-ერთ სასტუმროში ადგილს ვერ მოძებნიდა და, რომ არა ერთი კეთილი ნაცნობი, რომელმაც შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე თავის ბინაში შეიფარა, მართლაც ქუჩაში დარჩებოდა.

იმ დროს, როცა ჩვენი მოცურავეები, მათი მწვრთნელები და მსაჯთა ბრიგადა თავშესაფარს ეძებდნენ. **ბათუმის სპორტბაზების სასტუმროები სხვებს ჰქონდათ დაკავებული.**

არადა, ბათუმელებმა ჯერ კიდევ **შარშან იცოდნენ, რომ ამ შეჯიბრებას თავიანთივე თხოვნით, სწორედ ისინი უმასპინძლებდნენ.**

სწორედ ამაზეა ნათქვამი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

ეს, რაც შეეხება გუნდების დაბინავების პრობლემას, ახლა თავად ასპარეზობის ჩატარების ორგანიზაციულ საკითხებზე ლუკა იოაკიმიდის მოვუსმინოთ.

„იმ დღეებში პარალელურად ორი ასპარეზობა ჩატარდა — საქართველოს ჩემპიონატი და IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პაექრობა, რამაც მსაჯთა ბრიგადას დიდი თავსატეხი გაუჩინა. ერთნი მხოლოდ რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, მეორენი — ახალგაზრდული თამაშების პროგრამით, მესამენი კი ერთგანაც იძლეოდნენ ჩათვლას და მეორეგანაც. ჩვეხთვის, მსაჯებისთვის, იოლი არ იყო იმის გარჩევა, თუ ვინ, რომელ ასპარეზობაში გამოდიოდა, ვინ რომელი შეჯიბრების ან ხარისხის სიგელით უნდა დაჯილდოებულიყო, რომელი გუნდისთვის რამდენი ქულა დაგვერიცხა... საბოლოოდ, როგორც იტყვიან, ყველაფერი კეთილად დამთავრდა, მაგრამ საკითხავი ისაა, რის ფასად? რა თქმა უნდა, ჩვენ შეჯიბრების დებულებით ვხელმძღვანელობდით, მაგრამ საქმე ისაა, რომ დებულება იმთავითვე ცუდად შედგენილი იყო, ახლა ჩვენი ნორჩ მოცურავეთა ნაწილი ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისთვის ემზადება და თუ ერთ შეჯიბრებაში ორი ასპარეზობის ჩატარება, რაიმე მოსაზრების გამო, აუცილებელი იყო, განა არ აჯობებდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის პარალელურად, ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოცურავეთა ასპარეზობის ნაცვლად, სწორედ ჭაბუკთა პირველობა მოგვეწყო? ისიც უნდა ითქვას, რომ **ასპარეზობის მონაწილეთა ერთი ნაწილის საქციელმა ჩვენი გულისწყრომა გამოიწვია.** შეჯიბრების ბოლო დღეს, როცა პრიზიორები დასაჯილდოებლად გავამწკრივეთ და დამსახურებული ჯილდოებიც გადავეცით, მათი ნაწილი მწკრივში აღარ დაბრუნდა. თუმცა, მათ რა მოვთხოვოთ, როცა ზოგიერთი აღმზრდელიც კი ცუდად იქცეოდა“.

შეჯიბრების ორგანიზაციული ნაკლოვანებებით გამოწვეული გულისწყრომა იქნება ასპარეზობის კარგმა შედეგებმა გააქარწყლაო, — იტყვით.

შეჯიბრების დასაწყისს კარგი პირი უჩანდა. პირველსავე სტარტზე, ქალთა 50 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში, ერთბაშად სამი რეკორდი აღინიშნა. თბილისელმა ირინა გერასიმოვამ საქართველოს მიღწევა (34,0) გააუმჯობესა. მისმა თანაგუნდელმა, მეორე პრიზიორმა ანა ელიზბარაშვილმა დისტანცია იუნიორთა რესპუბლიკური რეკორდით (35,4) დაამთავრა, ხოლო რუსთაველმა ნინო მელაძემ, რომელიც მესამე იყო, გოგონათა შორის საქართველოს რეკორდსმენი გახდა. მერე, 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა ცურვაში გერასიმოვამ და მისმა თანაგუნდელმა ქეთინო. ზ-...



ირინა გერასიმოვა.

იხ. მე-4 გვ.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „სიტყვით და საქმით“

„ლელოს“ 14 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „სიტყვითა და საქმით“ დასახელებული იყო ქალაქები რუსთავი, თელავი, ქუთაისი, სამტრედია, გორი, წყალტუბო, ბათუმი, სადაც საქართველოს სპორტსახკომის 1987 წლის 21 მაისის დადგენილებით 1987-88 წლებში ღია ფრენბურთის მოედნები უნდა აშენებულიყო.

ამ დღეებში თელავიდან შეგვატყობინეს, აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. მასალების და მექანიზმების უქონლობის გამო სამუშაოები ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამჟამად მუშაობის ტემპი დაჩქარდა — მოიჭრა გრუნტი 900 კბმ-ის ოდენობით და მოსწორდა ტერიტორია. დამთავრების პროცესშია ტრიბუნებს შორის კიბეების მოწყობა. დამზადებულია და ადგილზეა მიტანილი ლითონის სკამების კონსტრუქციები, პარალელურად დაიწყება კეთილმოწყობის სამუშაოები.

გათვალისწინებულია ფრენბურთის მოედნის მშენებლობა დამთავრდეს მიმდინარე წლის 25 აგვისტოსათვის.

**ბ. ბენდიანიშვილი,**
საქართველოს კპ თელავის რაიკომის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ განიხილა საკავშირო გათამაშებებში მომხდარ დარღვევათა საკითხები და შესაბამის სანქციებსაც მიმართა.

11 ივლისის საკავშირო ჩემპიონატის მატჩში ალმა-ათის „კაირატსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის ორმხრივი უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევეს ალმაათელი ბ. ჯუმანოვი და თბილისელი თ. სულაქველიძე. სპორტტექნიკური კომისია დაეთანხმა თბილისის „დინამოს“ გუნდის საერთო კრების გადაწყვეტილებას და თ. სულაქველიძეს ერთი მატჩით მისცა დისკვალიფიკაცია, გარდა ამისა, იგი გადაყენებულია გუნდის კაპიტნობიდან. რაც შეეხება ბ. ჯუმანოვს, ვინაიდან არ იყო წარდგენილი „კაირატის“ ფეხბურთელთა საერთო კრების ოქმი, მისი საკითხის განხილვა გადაიდო შემდგომისთვის.

2 მატჩით დისკვალიფიცირებულია „კაირატის“ ფეხბურთელი ე. იაროვენკო, რომელიც მინდვრიდან გააძევეს ორი გაფრთხილების შემდეგ. ასევე 2 მატჩითაა დისკვალიფიცირებული ბაქოს „ნეფთჩის“ ფეხბურთელი ა. აბდულაევი.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მატჩში მინდვრიდან გააძევეს მოსკოვის სპარტაკელი ა. მიტინი. იგი 3 მატჩითაა დისკვალიფიცირებული.

სპორტტექნიკური კომისია დაეთანხმა ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა საერთო კრების გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ ამ გუნდის წევრს დ. მენაბდეს, რომელიც მინდვრიდან იყო გაძევებული, აეკრძალოს მონაწილეობა 7 მატჩში და სეზონის ბოლომდე — პირობით.

დებულების შესაბამისად დაამტკიცეს ფეხბურთელთა გადასვლები გუნდიდან გუნდში, ოფიციალურ ევროპულ ტურნირებში მონაწილე გუნდებისთვის არსებობს გარკვეული შეღავათი, ამ პუნქტის შესატყვისად მოსკოვის „სპარტაკში“ ნალჩიკის „სპარტაკიდან“ გადაიყვანეს ა. ალჩაგიროვი, დონის როსტოვის „როსტსელმაშის“ ფეხბურთელი ა. გიცელოვი — მოსკოვის „ტორპედოში“, ხოლო მოსკოვის ლოკომოტიველ ი. გურინოვიჩს ნება დართეს დაუბრუნდეს მინსკის „დინამოს“.



# საბჭოთა კავშირის თასზე

უმაღლესი ლიგის ოთხი გუნდი პირველივე მატჩებში გამოეთიშა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის 1988-89 წლების გათამაშებას. მეთექვსმეტედფინალის ეტაპზე მათ ვერ გაუძლეს მეტოქეთა წინააღმდეგობას, რომელთაგან ორი I ლიგის და ორი II-ის წარმომადგენელი იყო და შეჯიბრების მიღმა დარჩა. მათ შორის, ვინც თასის ასპარეზი დატოვა, სამი გუნდი სხვადასხვა წლებში ფლობდა ამ პრიზს (მოსკოვის „დინამო“, მოსკოვის „ლოკომოტივი“, ერევნის „არარატი“). ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ უმაღლესი ლიგის ზოგიერთმა გუნდმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო დაბალი ლიგების წარმომადგენელთა წინააღმდეგობის დაძლევა, ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა აღიარებულმა გუნდებმა მხოლოდ შინ ჩატარებული პირველი მატჩების მეშვეობით შეძლეს საერთო წარმატების შენარჩუნება. ასე, მაგალითად, მოსკოვის „სპარტაკმა“ ტერნოპოლის „ნივასთან“ (II ლიგა) პირველი მატჩი მოიგო ანგარიშით 4:1, საპასუხო თამაშში ტერნოპოლში კი წააგო 0:1.

მოგვყავს სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრათა შედეგები (ფრჩხილებში აღნიშნულია პირველ შეხვედრათა შედეგები, ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც მერვედფინალში გავიდნენ).

„ნივა“ (ტერნოპოლი) — **„სპარტაკი“ (მოსკოვი)** 1:0 (1:4).

**ასკ „კარპატი“ (ლვოვი)** — „არარატი“ (ერევანი) 1:2 (3:2).

„შინიკი“ (იაროსლავლი) — **„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)** 0:2 (0:5).

„კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — **„ზენიტი“ (ლენინგრადი)** 0:0 (0:1).

„დრუჟბა“ (მაიკოპი) — **„დინამო“ (მინსკი)** 1:1 (0:3).

„მელიორატორი“ (ყზილ-ორდა) — **„მეტალისტი“ (ხარკოვი)** 0:1 (1:2).

„კუზბასი“ (კემეროვო) — **„ტორპედო“ (მოსკოვი)** 1:1 (0:2).

„დინამო“ (ბარნაული) — **„შახტიორი“ (დონეცკი)** 1:3 (0:4).

**„ტრაქტორი“ (პავლოდარი)** — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:0 (0:1).

„შევარდენი“-სპი (თბილისი) — **„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)** 1:0 (2:4).

„ირტიში“ (ომსკი) — **„კაირატი“ (ალმა-ათა)** 0:1 (1:5).

**„ტორპედო“ (ქუთაისი)** — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1 (2:0).

**„კოლოსი“ (ნიკოპოლი)** — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0, დამატებითი პენალტებით 3:1 (0:0).

„ნისტრუ“ (კიშინიოვი) — **„დინამო“ (თბილისი)** 1:1 (1:2).

„ისკრა“ (სმოლენსკი) — **„ნეფთჩი“ (ბაქო)** 1:2 (0:2).

„დინამო“ (კიევი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2:0 (საპასუხო შეხვედრა შედგება 5 სექტემბერს).

მისასალმებელია ქუთაისის ტორპედოელთა წარმატება ამ მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებაში, მათი მონდომებული, ენერგიული თამაში. უდავოა, რომ ახალი მწვრთნელის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის რ. ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით გუნდი აშკარა პროგრესის გზაზე დგას. ოდესაში მოგებული პირველი მატჩის შემდეგ, როცა მეგრელაძემ და კაჭარავამ ორი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს ოდესელთა კარში, ქუთაისელებმა შინაც არ დათმეს მონაპოვარი და ფრეს მიაღწიეს, რისი მეოხებითაც ორი მატჩის ჯამში მერვედფინალში გავიდნენ. „ჩერნომორეცის“ კარში ბურთი 53-ე წუთზე გაიტანა მ. თევზაძემ, ოდესელებმა წუთის შემდეგ გაქვითეს ეს გოლი (სპიცინი), მაგრამ მეტს ველარ მიაღწიეს — 1:1.

თბილისის „დინამომ“ თავისი პირველი შეხვედრა კიშინიოვის „ნისტრუსთან“ საკუთარ მოედანზე მოკრძალებული გამარჯვებით დაამთავრა — 2:1. ამ მატჩში კიშინიო-

იხ. მე-4 გვ.

## I ლიგა

**გაიმართა** I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 16 ივლისს გამოტოვებული მატჩი პერმის „ზვეზდასა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის.

ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა თამაში დიდი უპირატესობით ჩაატარეს სტუმრად და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0.

## ტონი შუმახერი — თურქეთში

ორი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ცნობილი დასავლეთგერმანელი მეკარე ტონი შუმახერი თავისი ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციასთან მომხდარი კონფლიქტის შემდეგ იძულებული გახდა თურქეთის „ფენერბახჩეში“ გადასულიყო.

გფრ-ის ნაკრებისა და „კიოლნის“ ყოფილ მეკარეს, 34 წლის ვეტერანს, „ფენერბახჩეს“ გულშემატკივრებმა საზეიმო შეხვედრა გაუმართეს. ტ. შუმახერი რამდენიმე წელიწადს ითამაშებს თურქეთის ამ კლუბში.

# სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## I ლიგა

# გათამაშების კალენდარი (მეორე წრე)

### XXIII ტური

**3 აგვისტო, ოთხშაბათი**
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „შინიკი“ (იაროსლავლი).
„როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი).
**„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (სტავროპოლი).**
**„გურია“ (ლანჩხუთი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე).**
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ცსკა.
„კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „კუზბასი“ (კემეროვო).
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ზვეზდა“ (პერმი).
„პამირი“ (დუშანბე) — „გეოლოგი“ (ტიუმენი).
„კოტაიკი“ (აბოვიანი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი).
„ყუბანი“ (კრასნოდარი) — ასკ (დონის როსტოვი).

### XXIV ტური

**6 აგვისტო, შაბათი**
„ზარია“ — „ტავრია“.
„როსტსელმაში“ — „შინიკი“.
**„დინამო“ ბ. — „სპარტაკი“.**
**„გურია“ — „დინამო“ სტ.**
„მეტალურგი“ — „კუზბასი“.
„კოლოსი“ — ცსკა.
„ფახთაქორი“ — „გეოლოგი“.
„პამირი“ — „ზვეზდა“.
„კოტაიკი“ — ასკ რ.
„ყუბანი“ — „როტორი“.
„დაუგავა“ (რიგა) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი).

### XXV ტური

**12 აგვისტო, პარასკევი**
„როტორი“ — „დაუგავა“.
ასკ რ. — ასკ „კარპატი“.
„ზვეზდა“ — „კოტაიკი“.
„გეოლოგი“ — „ყუბანი“.
ცსკა — „ფახთაქორი“.
„კუზბასი“ — „პამირი“.
„დინამო“ სტ. — „მეტალურგი“.
„სპარტაკი“ — „კოლოსი“.
**„შინიკი“ — „დინამო“ ბ.**
**„ტავრია“ — „გურია“.**

### XXVI ტური

**15 აგვისტო, ორშაბათი**
„როტორი“ — ასკ „კარპატი“.
ასკ რ. — „დაუგავა“.
„ზვეზდა“ — „ყუბანი“.
„გეოლოგი“ — „კოტაიკი“.
ცსკა — „პამირი“.
„კუზბასი“ — „ფახთაქორი“.
„დინამო“ სტ. — „კოლოსი“.
„სპარტაკი“ — „მეტალურგი“.
**„შინიკი“ — „გურია“.**
**„ტავრია“ — „დინამო“ ბ.**
„ზარია“ — „როსტსელმაში“.

### XXVII ტური

**21 აგვისტო, კვირა**
„დაუგავა“ — „ზვეზდა“.
ასკ „კარპატი“ — „გეოლოგი“.
**„დინამო“ ბ. — „ზარია“.**
**„გურია“ — „როსტსელმაში“.**
„მეტალურგი“ — „შინიკი“.
„კოლოსი“ — „ტავრია“.
„ფახთაქორი“ — „დინამო“ სტ.
„პამირი“ — „სპარტაკი“.
„კოტაიკი“ — ცსკა.
„ყუბანი“ — „კუზბასი“.
„როტორი“ — ასკ რ.

### XXVIII ტური

**24 აგვისტო, ოთხშაბათი**
„დაუგავა“ — „გეოლოგი“.
ასკ „კარპატი“ — „ზვეზდა“.
**„დინამო“ ბ. — „როსტსელმაში“.**
**„გურია“ — „ზარია“.**
„მეტალურგი“ — „ტავრია“.
„კოლოსი“ — „შინიკი“.
„ფახთაქორი“ — „სპარტაკი“.
„პამირი“ — „დინამო“ სტ.
„კოტაიკი“ — „კუზბასი“.
„ყუბანი“ — ცსკა.

### XXIX ტური

**29 აგვისტო, ორშაბათი**
„ზვეზდა“ — „როტორი“.
„გეოლოგი“ — ასკ. რ.
ცსკა — „დაუგავა“.
„კუზბასი“ — ასკ „კარპატი“.
„დინამო“ სტ. — „კოტაიკი“.
„სპარტაკი“ — „ყუბანი“.
„შინიკი“ — „ფახთაქორი“.
„ტავრია“ — „პამირი“
„ზარია“ — „მეტალურგი“.
„როსტსელმაში“ — „კოლოსი“.

### XXX ტური

**1 სექტემბერი, ხუთშაბათი**
„ზვეზდა“ — ასკ რ.
„გეოლოგი“ — „როტორი“.
ცსკა — ასკ „კარპატი“.
„კუზბასი“ — „დაუგავა“.
„დინამო“ სტ. — „ყუბანი“.
„სპარტაკი“ — „კოტაიკი“.
„შინიკი“ — „პამირი“.
„ტავრია“ — „ფახთაქორი“.
„ზარია“ — კოლოსი“.
„როსტსელმაში“ — „მეტალურგი“.
**„დინამო“ ბ. — „გურია“.**

### XXXI ტური

**8 სექტემბერი, ხუთშაბათი**
„დაუგავა“ — „დინამო“ სტ.
ასკ „კარპატი“ — „სპარტაკი“.
„როტორი“ — ცსკა.
ასკ რ. — „კუზბასი“.
**„მეტალურგი“ — „დინამო“ ბ.**
**„კოლოსი“ — „გურია“.**
„ფახთაქორი“ — „ზარია“.
„პამირი“ — „როსტსელმაში“.
„კოტაიკი“ — „შინიკი“.
„ყუბანი“ — „ტავრია“.
„გეოლოგი“ — „ზვეზდა“.

### XXXII ტური

**11 სექტემბერი, კვირა**
„დაუგავა“ — „სპარტაკი“.
ასკ „კარპატი“ — „დინამო“ სტ.
„როტორი“ — „კუზბასი“.
ასკ რ. — ცსკა.
**„მეტალურგი“ — „გურია“.**
**„კოლოსი“ — „დინამო“ ბ.**
„ფახთაქორი“ — „როსტსელმაში“.
„პამირი“ — „ზარია“.
„კოტაიკი“ — „ტავრია“.
„ყუბანი“ — „შინიკი“.

**1-12 სექტემბერი, კვირა-ორშაბათი**
1988-89 წლების სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

**შენიშვნა:** თუ პირველი ლიგის გუნდები თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდნენ, XXXII ტურის მატჩები ჩატარდება 5 სექტემბერს.

### XXXIII ტური

**17 სექტემბერი, შაბათი**
ცსკა — „ზვეზდა“.
„კუზბასი“ — „გეოლოგი“.
„დინამო“ სტ. — ასკ რ.
„სპარტაკი“ — „როტორი“.
„შინიკი“ — „დაუგავა“.
„ტავრია“ — ასკ „კარპატი“.
„ზარია“ — „კოტაიკი“.
„როსტსელმაში“ — „ყუბანი“.
**„დინამო“ ბ. — „ფახთაქორი“.**
**„გურია“ — „პამირი“.**
„მეტალურგი“ — „კოლოსი“.

### XXXIV ტური

**20 სექტემბერი, სამშაბათი**
ცსკა — „გეოლოგი“.
„კუზბასი“ — „ზვეზდა“.
„დინამო“ სტ. — „როტორი“.
„სპარტაკი“ — ასკ რ.
„შინიკი“ — ასკ „კარპატი“.
„ტავრია“ — „დაუგავა“.
„ზარია“ — „ყუბანი“.
„როსტსელმაში“ — „კოტაიკი“.
**„დინამო“ ბ. — „პამირი“.**
**„გურია“ — „ფახთაქორი“.**

### XXXV ტური

**26 სექტემბერი, ორშაბათი**
„დაუგავა“ — „ზარია“.
ასკ „კარპატი“ — „როსტსელმაში“
„როტორი“ — „ტავრია“.
ასკ რ. — „შინიკი“.
„ზვეზდა“ — „დინამო“ სტ.
„გეოლოგი“ — „სპარტაკი“.
„ფახთაქორი“ — „მეტალურგი“.
„პამირი“ — „კოლოსი“.
**„კოტაიკი“ — „დინამო“ ბ.**
**„ყუბანი“ — „გურია“.**
ცსკა — „კუზბასი“.

### XXXVI ტური

**29 სექტემბერი, ხუთშაბათი**
„დაუგავა“ — „როსტსელმაში“.
ასკ „კარპატი“ — „ზარია“.
„როტორი“ — „შინიკი“
ასკ რ. — „ტავრია“.
„ზვეზდა“ — „სპარტაკი“.
„გეოლოგი“ — „დინამო“ სტ.
„ფახთაქორი“ — „კოლოსი“.
„პამირი“ — „მეტალურგი“.
**„კოტაიკი“ — „გურია“.**
**„ყუბანი“ — „დინამო“ ბ.**

**30 სექტემბერი, პარასკევი — 1 ოქტომბერი, შაბათი**
1988-89 წლების სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალის საპასუხო მატჩები.

**შენიშვნა:** თუ პირველი ლიგის გუნდები თასის გათამაშების მერვედფინალში გავიდნენ, XXXVI ტურის მატჩები ჩატარდება სარეზერვო დღეს, 22 ოქტომბერს.

### XXXVII ტური

**6 ოქტომბერი, ხუთშაბათი**
„დინამო“ სტ. — ცსკა.
„სპარტაკი“ — „კუზბასი“.
„შინიკი“ — „ზვეზდა“.
„ტავრია“ — „გეოლოგი“.
„ზარია“ — ასკ რ.
„როსტსელმაში“ — „როტორი“.
**„დინამო“ ბ. — „დაუგავა“.**
**„გურია“ — ასკ „კარპატი“.**
„მეტალურგი“ — „კოტაიკი“
„კოლოსი“ — „ყუბანი“.
„ფახთაქორი“ — „პამირი“.

### XXXVIII ტური

**9 ოქტომბერი, კვირა**
„დინამო“ სტ. — „კუზბასი“.
„სპარტაკი“ — ცსკა.
„შინიკი“ — „გეოლოგი“.
„ტავრია“ — „ზვეზდა“.
„ზარია“ — „როტორი“.
„როსტსელმაში“ — ასკ რ.
**„დინამო“ ბ. — ასკ „კარპატი“.**
**„გურია“ — „დაუგავა“.**
„მეტალურგი“ — „ყუბანი“.
„კოლოსი“ — „კოტაიკი“.

### XXXIX ტური

**15 ოქტომბერი, შაბათი**
„დაუგავა“ — „კოლოსი“.
ასკ „კარპატი“ — „მეტალურგი“.
**„როტორი“ — „დინამო“ ბ.**
**ასკ რ. — „გურია“.**
„ზვეზდა“ — „ზარია“.
„გეოლოგი“ — „როსტსელმაში“.
ცსკა — „შინიკი“.
„კუზბასი“ — „ტავრია“.
„კოტაიკი“ — „ფახთაქორი“
„ყუბანი“ — „პამირი“.
„დინამო“ სტ. — „სპარტაკი“.

### XXXX ტური

**18 ოქტომბერი, სამშაბათი**
„დაუგავა“ — „მეტალურგი“.
ასკ „კარპატი“ — „კოლოსი“
**„როტორი“ — „გურია“.**
**ასკ რ. — „დინამო“ ბ.**
„ზვეზდა“ — „როსტსელმაში“
„გეოლოგი“ — „ზარია“.
ცსკა — „ტავრია“.
„კუზბასი“ — „შინიკი“.
„კოტაიკი“ — „პამირი“.
„ყუბანი“ — „ფახთაქორი“.

### XXXXI ტური

**25 ოქტომბერი, სამშაბათი**
„შინიკი“ — „დინამო“ სტ.
„ტავრია“ — „სპარტაკი“.
„ზარია“ — ცსკა.
„როსტსელმაში“ — „კუზბასი“.
**„დინამო“ ბ. — „ზვეზდა“.**
**„გურია“ — „გეოლოგი“.**
„მეტალურგი“ — „როტორი“.
„კოლოსი“ — ასკ რ.
„ფახთაქორი“ — „დაუგავა“.
„პამირი“ — ასკ „კარპატი“.
„ყუბანი“ — „კოტაიკი“.

### XXXXII ტური

**28 ოქტომბერი, პარასკევი**
„შინიკი“ — „სპარტაკი“.
„ტავრია“ — „დინამო“ სტ.
„ზარია“ — „კუზბასი“.
„როსტსელმაში“ — ცსკა.
**„დინამო“ ბ. — „გეოლოგი“.**
**„გურია“ — „ზვეზდა“.**
„მეტალურგი“ — ასკ რ.
„კოლოსი“ — „როტორი“.
„ფახთაქორი“ — ასკ „კარპატი“.
„პამირი“ — „დაუგავა“.

### XXXXIII ტური

**2 ნოემბერი, ოთხშაბათი**
„დაუგავა“ — „კოტაიკი“.
ასკ „კარპატი“ — „ყუბანი“.
„როტორი“ — „ფახთაქორი“.
ასკ რ. — „პამირი“.
„ზვეზდა“ — „მეტალურგი“.
„გეოლოგი“ — „კოლოსი“.
**ცსკა — „გურია“.**
**„კუზბასი“ — „დინამო“ ბ.**
„დინამო“ სტ. — „ზარია“.
„სპარტაკი“ — „როსტსელმაში“.

### XXXXIV ტური

**5 ნოემბერი, შაბათი**
„დაუგავა“ — „ყუბანი“.
ასკ „კარპატი“ — „კოტაიკი“.
„როტორი“ — „პამირი“.
ასკ რ. — „ფახთაქორი“.
„ზვეზდა“ — „კოლოსი“.
„გეოლოგი“ — „მეტალურგი“.
**ცსკა — „დინამო“ ბ.**
**„კუზბასი“ — „გურია“.**
„დინამო“ სტ. — „როსტსელმაში“
„სპარტაკი“ — „ზარია“.
„შინიკი“ — „ტავრია“.

**12 ნოემბერი, შაბათი**
პირველი ლიგის თასის გათამაშების ფინალური მატჩი.

# არც მასპინძლობა, არც შედეგები...

დასასრული

დროშვილმა აჩვენეს სპორტის ოსტატის შედეგები, ასეთი მაჩვენებლებით კი, ჩვენდა სავალალოდ, განებივრებულნი სულაც არა ვართ.

სამწუხაროდ, სპორტის ოსტატის მაჩვენებელს მხოლოდ სამი სპორტსმენი შეწვდა. მათ შორის იყვნენ გერასიმოვა (100 მეტრზე ბრასითა და თავისუფალი სტილით ცურვა), ზინდრიშვილი (100, 200, 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა) და მათი თანაგუნდელი როლანდ ხვადაგიანი (400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა).

შეჯიბრების მონაწილეებმა 30 სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი აჩვენეს. აქედან თექვსმეტი — ახალგაზრდული თამაშების პროგრამით მონაწილე სპორტსმენებმა.

ეს, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებელი შედეგი სულაც არ არის.

ისევ ლუკა იოაკიმიდის მოვუსმინოთ:

დამაკმაყოფილებელ შედეგებს ვინ ჩივის, როცა ასპარეზობის ბევრი მონაწილე ტექნიკურად კარგად ვერ ცურავს. — ბევრის სტარტისა და მობრუნების ტექნიკაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ყოველივე ამის გამო შეჯიბრების **სამი მონაწილე დისტანციიდან მოეხსნით, თორმეტი უთანრიგოდ დარჩა, ერთმა ფინიშამდე ვერ მიაღწია... საკითხავია, რას ფიქრობდნენ მათი მწვრთნელები, როცა ასეთი მოუმზადებელი სპორტსმენები რესპუბლიკურ ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოჰყავდათ?** ისიც საინტერესოა, **რომ ქალთა 400 მეტრზე კომპლექსური ცურვის სტარტზე სამად-სამი სპორტსმენი გამოვიდა, 200 მეტრზე ბატერფლაითა და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებას მხოლოდ ოთხ-ოთხი** ეცილებოდა ერთმანეთს, ვაჟთა **200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ძალას ხუთი სპორტსმენი ცდიდა... მთელი უბედურება ისაა, რომ მწვრთნელები ძველი მეთოდებით მუშაობენ:**



**ზურაბ გვლიგვაშვილი, რომელმაც გაიმარჯვა 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში.**

და ბოლოს, შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების შესახებ: ასპარეზობაში **ტყიბულელმა და ხობელმა მოცურავეებმა ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს. აჭარის გუნდიდან ეს მხოლოდ ერთადერთმა სპორტსმენმა შეძლო.** ქუთაისის, აფხაზეთისა და რუსთავის წარმომადგენლებმა კი თითოოროლა საპრიზო ადგილი მოიპოვეს. რაც შეეხება თბილისელებს, საპატიო კვარცხლბეკზე, უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ისინი ვიხილეთ.

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, კარგზე არაფერზე მეტყველებს. მხოლოდ თბილისელებით ფონს ვერა და ვერ გავალთ, მით უმეტეს, რომ მათი მაჩვენებლები, საერთაშორისოზე რომ აღარ ვთქვათ, ძალზე ჩამორჩება საკავშირო სტანდარტებს.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: **ჩამპიონატის პროგრამით:** თბილისი-I — 2094 ქულა, 2. თბილისი-II — 1703, 3. ქუთაისი — 838, 4. აფხაზეთი — 800, 5. რუსთავი — 789, 6. აჭარა — 608, 7. ხობი — 415, 8. ტყიბული — 163; **ახალგაზრდული თამაშების პროგრამით: I ჯგუფი.** 1. თბილისი-II — 1389, 2. თბილისი-I — 1163, 3. რუსთავი — 529, 4. ქუთაისი — 494, 5. აფხაზეთი — 461, 6. აჭარა — 414; **II ჯგუფი.** 1. ხობი — 648, 2. ტყიბული — 240.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ანა ელიზბარაშვილი.**

**ავთანდილ გურასაშვილი.**
ავტორის ფოტოები.

# საბჭოთა კავშირის თასზე

დასასრული

ველთა კარში ბურთები გაიტანეს ქეცბაიამ და გურულმა.

ასევე ძნელი და დაძაბული იყო საპასუხო შეხვედრა კიშინიოვში, სადაც მასპინძლები შეეცადნენ რევანშის აღებას. 42-ე წუთზე კიშინიოველმა პავლოვმა გახსნა ანგარიში. ამ უპირატესობას მასპინძლები დიდხანს ინარჩუნებდნენ, მაგრამ მატჩის დასასრული დინამოელებმა ძლიერად ჩაატარეს, ისინი ხშირად უტევდნენ მეტოქის კარს და ბოლოს რევიშვილი-მესხი-ჭედიას კომბინაციის შემდეგ ამ უკანასკნელმა გაქვითა ბურთი — 1:1.

თასის მერვედფინალში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ:

ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „დინამო" (თბილისი)

„კაირატი" (ალმა-ათა) — „ტორპედო" (ქუთაისი)

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „კოლოსი" (ნიკოპოლი)

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი)

„დინამო" (მინსკი) — „ნეფთჩი" (ბაქო)

„ტორპედო" (მოსკოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი)

„შახტიორი" (დონეცკი) — „ტრაქტორი" (პავლოდარი).

როგორც ხედავთ, მერვედფინალში გასულთა შორის ორი გუნდი II ლიგის წარმომადგენელია და ორიც I-სა. უმაღლესი ლიგის გუნდები მერვედფინალის პირველ მატჩებს შინ ჩაატარებენ 11-12 სექტემბერს, ხოლო საპასუხოს — 1 ოქტომბერს.

# გოლი „ჟალგირისის" კარში

**ახლანდელ** ჩვენს საფეხბურთო წარუმატებლობათა ხანაში საკავშირო მასშტაბის ასპარეზობაში მოპოვებული ყოველი გამარჯვება თავისებური მცირე ზეიმია. ასეთი ზეიმი იყო 20 ივლისსაც, როცა თბილისის „შევარდენი"-სპი-მ სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში მიიღო ვილნიუსის „ჟალგირისი".

ფეხბურთის გამოუცნობადობა ყველაზე ნათლად სათასო ორთაბრძოლებში ვლინდება. აქ ხშირად ვერც სატურნირო მდგომარეობა და ვერც მისი „არითმეტიკა" საქმეს ვერ შველის და იმარჯვებს ის, ვინც კონკრეტული მატჩისთვის უკეთ არის მომზადებული. მაგრამ თასის გათამაშების გარკვეულ ეტაპამდე, კერძოდ მეოთხედფინალამდე, როცა გუნდები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს, „ორრაუნდიანი" კონიუნქტურა მაინც ერევა საქმეში — თუ პირველი შეხვედრა დიდი უპირატესობით გაქვს მოგებული, საპასუხო მატჩში შეიძლება თავს შეღავათი მისცე. სწორედ ასეთ ვითარებაში აღმოჩნდნენ სტუმრები, რომლებმაც შინ საკმაოდ სოლიდური ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:2. ამიტომ მათ საბრძოლო შემადგენლობა არ გამოუყვანიათ მინდორზე, პირველ მატჩთან შედარებით განსხვავებული შემადგენლობით თამაშობდა თბილისელთა გუნდიც, რომელსაც აკლდა პირველ ლიგაში დელეგირებული რამდენიმე მოთამაშე.

და მაინც, თავიდანვე ცხადი გახდა, რომ სტუმრები ადვილად არ აპირებდნენ შეხვედრის დათმობას, მათ მკაცრი სათამაშო დისციპლინის დაცვით იბრძოლეს.

სტუმრებმა აგრესიულად განწყობილ მეტოქეს თავიდან დაუთმეს ტერიტორიული უპირატესობა, რათა შემდგომ საპასუხო შეტევებზე გადასულიყვნენ და დაეჯაბნათ იგი. მაგრამ თბილისელმა ძნელაძემ მე-7 წუთზე ოდნავ ააცდინა ბურთი „ვილნიუსის" კარს. ახალგაზრდა ფეხბურთელი ახლოს აღმოჩნდა მიზანთან, რამაც მას თითქოს დამატებითი ძალა შესძინა. იგი მთელი თამაშის განმავლობაში ყველაზე უფრო გამიზნული იყო „ჟალგირისის" კარის ასაღებად. აქტიურობა ბოლოს მაინც წარმატებით დაგვირგვინდა, ძნელაძემ 86-ე წუთზე ლამაზი გოლი გაიტანა სტუმრების კარში, რითაც გამარჯვება მოუტანა „შევარდენ"-სპი-ს — 1:0.

ამ მატჩში ორივე მხარე ცდილობდა ტექნიკურად და კორექტულად ეთამაშა და ბრძოლაც მეტად საინტერესო გამოდგა, საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე თბილისელმა ჯინჭარაძემ ოდნავ ააცდინა ბურთი სტუმრების კარს...

ყველაფერი ეს „შევარდენი"-სპი-ს თითოეული წევრის მონდომებამ და თავდადებულმა თამაშმა განაპირობა. მასპინძელთა გუნდის თითოეული წევრი ბოლომდე იბრძოდა. ამით მათ ძლიერ მეტოქეს წარმატების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩვენს გუნდს გამოაკლდნენ წამყვანი მოთამაშეები — ყვანია, ცხოვრებაშვილი, ჯოხაძე, ჩადუნელი, მაგრამ ახალწვეულებისა და კოლექტივში დაბრუნებული საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ალექსანდრე კოტრიკაძის შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

# „ატლანტა ჰოუკსის" სამი მატჩი

20 ივლისს მოსკოვში ჩამოფრინდა აშშ-ს კალათბურთელთა პროფესიონალური კლუბი „ატლანტა ჰოუკსი". ამერიკელი სპორტსმენები საბჭოთა კავშირში რამდენიმე ერთობლივ წვრთნას ჩაატარებენ, მერე კი სამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ. 25 ივლისს თბილისში მას საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდი ეთამაშება, 27 ივლისს ვილნიუსში — საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ნაკრები, 30 ივლისს კი მოსკოვში — სსრ კავშირის ნაკრები.

საბჭოთა კალათბურთელები ამერიკელ პროფესიონალებს პირველად როდი ხვდებიან. შარშან ოქტომბერში ჩვენი ქვეყნის ნაკრები დამარცხდა ნბა-ს ლიგის კლუბთან „მილუოკი ბაქსთან" ანგარიშით 100:127. მანამდე კი ჩვენ



ამერიკელ კალათბურთელებს მხოლოდ ოლიმპიადებზე ვხვდებოდით, თანაც სტუდენტთა გუნდებს.

მაგრამ სტუდენტთა კალათბურთიც შტატებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა ოსტატობის დონით იგი აშკარად ჩამორჩება პროფესიონალურს. ამერიკაში პროფესიონალი კალათბურთელი უფრო პოპულარულია, ვიდრე „კინოვარსკვლავი" ან სახელმწიფო მოღვაწე. ნბა-ს ლიგის მოთამაშე წელიწადში საშუალოდ 500 ათას დოლარს იღებს, „ვარსკვლავთა" ჰონორარი კი 2 მილიონს აღწევს.

პროფესიონალთა გუნდების რიგით მატჩს, როგორც წესი, 17-18 ათასი მაყურებელი ესწრება, სატელევიზიო აუდიტორია კი ასობით მილიონს აჭარბებს.

„ატლანტა ჰოუკსი" აშშ-ს პროფესიონალური კალათბურთის ელიტაში შედის. იგი შეიქმნა 38 წლის წინ. 1957 წელს ამ კლუბმა ნბა-ს ჩემპიონატის ფინალამდე მიაღწია. გუნდის ხელახალი აღზევება დაკავშირებულია ტი-ბი-ესისა და სი-ენ-ენ-ის ტელეკომპანიების მფლობელის, წარსულში აშშ-ს ერთ-ერთი უძლიერესი აფროსნის ტედ ტერნერის სახელთან, რომელმაც ეს კლუბი ამ ათიოდე წლის წინ შეიძინა.

80-იანი წლების დასაწყისიდან კლუბს მოწინავე პოზიციები უპყრია ნბა-ს ლიგაში. იგი ხშირად მონაწილეობს „პლეი-ოფის" სერიებში, რაც გუნდის სიძლიერეზე მეტყველებს. ივნისში დამთავრებულ ჩემპიონატში „ატლანტა ჰოუკსმა" მეექვსე ადგილი დაიკავა.

კლუბის ლიდერებად თვლიან 26 წლის მცველს გლენ რივერსს და 28 წლის თავდამსხმელს დომინიკ უილკინსს. პირველს განსაკუთრებით ეხერხება გადაცემების ჩაჭრა, მეორე კი (სიმაღლე 200 სმ) ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერად ითვლება. 1986-1987 წლების სეზონში მან პირადი რეკორდი დაამყარა: ერთ მატჩში თავის გუნდს 57 ქულა შესძინა.

საკვანძო მოთამაშეებად ითვლებიან, აგრეთვე, თავდამსხმელი კლიფ ლივინგსტონი (27 წლის, 200 სმ) და ცენტრალური თავდამსხმელი ჯონ კონაკი (25 წლის, 210 სმ). გუნდის ძირითად ბირთვს შეადგენს კევინ უილისიც (25 წლის, 210 სმ) და ანტუან კარი (27 წლის, 203 სმ).

„ატლანტა ჰოუკსს" 1983 წლიდან მაიკლ ფრატელო წვრთნის. მისი განცხადებით კლუბს პროფესიულ კალათბურთში ყველაზე „გრძელი სკამი" აქვს. ფრატელოს კოლექტივი, ამავე დროს, ყველაზე ახალგაზრდული გუნდია, რაც მის პერსპექტივაზე მეტყველებს.

შარშან კლუბის ხელმძღვანელებმა თავის ბაზაზე ერთობლივი წვრთნისთვის მოიწვიეს ექვსი საბჭოთა კალათბურთელი და მათი მწვრთნელი ალექსანდრე გომელსკი, წელს კი სტუმრად გვეწვივნენ.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

**გუშინწინ** ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის XVIII ტურის მატჩი. ქუთაისის „მშენებელმა" უმასპინძლა თბილისის „ელმავალს", გაიმარჯვა ანგარიშით 31:17 (19:7) და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს შეჯიბრებას. დაწვრილებით ამ შეხვედრისა და ტურის სხვა მატჩების შესახებ გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

## „სპორტპროგნოზი"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ალმა-ათის „კაირატის" თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 201.248 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (8) მოგებამ შეადგინა 377 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (74) — 81 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (691) — 30 მანეთი.

* * *

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა კიევის „დინამოს" თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 738.738 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (80) მოგებამ შეადგინა 138 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2389) — 9 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (18400) — 4 მანეთი.

სპეციალური ტირაჟების მოგებები გაიცემა 1988 წლის 1 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05446